MES 4 23 0001134249

12/09/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი
ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
თამარ შენგელია-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის კოორდინატორი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის კოორდინატორი;
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთევანი კევლიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა:
მანანა ბახტურიძე - დირექტორმის მოავლეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლა:
ხათუნა ხარაზიშვილი-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა:
გელა ოდიშელიძე-დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლა:
ლალი აბჟანდაძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ- ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლა:
ლელა გრძელიშვილი - დირეოქტორის მოადგილე
ნატალია თურქაძე - საინფორმაციო მენეჯერი

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა:
ა) ცირა ნიკოლაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია ლაპიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ცუცქირიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიკო მჭედლიშვილი - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირაკლი ქობალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლა:
ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამი გარაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა შალიკიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თეონა შუბლაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარიამ კუჭუხიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაია სიხარულიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა:
ა) თეონა ყაჭეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ბ) რუსუდან კეკელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი;
გ) ქეთევან სადრაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
დ) თეონა შერაზადაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ე) ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ვ) შორენა ტყემალაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ზ) მაია ჩაჩხიანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
თ) თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ი) ნინო კოვზიაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
კ) ლეილა ხელისუფალი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი;
ლ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლა:
ა) ხათუნა ლოდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ტატიშვილი - შაინიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ალა სანამიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ირმა ქაფიანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ანა კოკოჩაშვილი-ახვლედიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა ჩილინგარაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) მაკა ინაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანი სალია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ)ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლა:
ა) მაკა ჭიაბერაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა კანდელაკი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ტურიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნათია ლომთათიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) დავით კიკაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ- ქალაქ ქუთაისის N36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგში ცვლილებასთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად, დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 22 და 23 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა ორ მისამართზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბანში, სადაც სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორიცელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს და სოფელ საქობოში, სადაც სკოლა ზოგადი განათლების მხოლოდ დაწყებით და საბაზო საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 500 მოსწავლე.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლეიშვილმა, ისაუბრა სკოლის მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე, რომელიც სოფელ ვარდისუბანში მდებარეობდა და წარმოადგინა შესაბამისი ფოტო-მასალაც. სკოლა 2019 წელს რეაბილიტირებული იყო ,,ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ პროგრამის ფარგლებში. ექსპერტმა, ცირა ნიკოლეიშვილმა, აღწერა სკოლის გარე და შიდა პერიმეტრი და აღნიშნა, რომ ორივე მათგანი კეთიმოწყობილი იყო. ეზოში მოწყობილი იყო გარკვეულწილად სოციო-კულტურული სივრცე და ღია სპორტული მოედანი. თითქმის ყველა საკლასო ოთახში გაკრული იყო სამოტივაციო და მხარდამჭერი ფრაზები, პოზიტიურად ფორმულირებული ქცევის წესები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ექსპერტების შეფასებით, სკოლაში დიდი ყურადრება ეთმობოდაა შესაბამამისი ფსიქო-ემოციური გარემოს შექმნას. ექსპერტის განცხადებით, საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით. ექსპერტმა, დაამატა რომ სკოლაში არაფორმალურ განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მათ შექმნილი ჰქონდათ კლუბები- სამოქალაქოს, STEM-ის და ეკოლოგიის მიმართულებით. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის შენობაზე, რომელიც სოფელ საქობოში მდებარეობდა და წარმოადგინა შესაბამისი ფოტო - მასალაც. ექსპერტმა გარე პერიმეტრზე აღნიშნა, რომ შენობის ღობე მორღვეული იყო და საჭიროებდა შეკეთებას. სკოლას გააჩნდა ღია სპორტული მოედანი, თუმცა შიდა პერიმეტრი, საჭიროებდა რეაბილიტაციას.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლეიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელეს ადგილზე დათვალიერება, ინტერვიუები, გამოიკვეთა რიგი საჭიროებები და ექსპერტებმა დარღვევად მიიჩნიეს პირველი, მესამე და მეოთხე სტანდარტი, რომელიც შესაბამისობის უზრუნველყოფიდ გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეფასება შემდეგნაირად შეიცვალა:

პირველი სტანდარტის, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შეფასდა - სრულ შესაბამისად, ხოლო კომპონენტი 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა - სრულ შესაბამისად.

რაც შეეხებაა, მესამე სტანდარტს - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად:

3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება;

3.2. პერსონალის განვითარება- სრულად შეესაბამება;

3.3. პროცესის მართვა - მეტწილად შეესაბამება;

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება;

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა-მეტწილად შეესაბამება;

3.6. საინფორმაციო რესურსები-სრულად შეესაბამება;

3.7. ფინანსური რესურსები- მეტწილად შეესაბამება.

ექსპერტის განცხადებით, ასევე, მეტწილ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

რაც შეეხება მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები სრულ შესაბამისობაში იყო.

ექსპერტმა, ცირა ნიკოლეიშვილმა წარმოადგინა რეკომენდაციები რომელის სტრანდარტის შესაბამისად გაცემული იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ:

1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით - სტანდართან მიმართებით სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა შეემუშავებინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ინდიკატორის მოთხოვნების შესაბამისად (2023 წლის ივლისი - 2023 წლის სექტემბერი);

3.1.1.1 ინდიკატორთან მიმართებით - სკოლას უნდა დაემტკიცებინა დოკუმენტები როგორიცაა: სკოლის ერთეულთა ფუნქციები, კათედრის დებულება, პედაგოგიური საბჭოს დებულება, მოსწავლეთა თვითშეფასების დებულება და დისციპლინური კომიტეტის დებულება (2023 წლის ივლისი - 2023 წლის ოქტომბერი);

3.1.2.1 იდიკატორთან მიმართებით - სკოლას უნდა შეემუშავებინა შინაგანაწესის ახალი რედაქცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა შრომის კოდექსის ძირითადი ამოცანები და დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა პერსონალის მართვის მიმართულებით დაზუსტებული პრევენციული და ინტერვენციული მექანიზმები (2023 წლის ივლისი - 2023 წლის სექტემბერი);

3.1.1.2 ინდიკატორთან მიმართებით - სკოლას, სოფელ საქობოს მისამართზე უნდა დაემტკიცებინა ადმინისტრატორის საშტატო ერთეული, წარმოედგინა თანამშრომელთა მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები. შეემუშავებინა და დაემტკიცებინა თანამშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, შეემუშავებინა პერსონალისა და მშობლებთან კომუნიკაციის წესი. (2023 წლის ივლისი - 2023 წლის ოქტომბერი);

3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით - სკოლას უნდა შეიმუშავებინა სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეათანხმებინა შესაბამის სამსახურთან (2023 წლის ივლისი - 2023 წლის დეკემბერი);

სოფელ ვარდისუბანში მდებარე შენობის სახანძრო უსაფრთხოების დარღვევის აღმოფხვრის თაობაზე მიღებული მიწერილობის შესასრულებლად შესაბამის უწყებასთან ეწარმოებინა კომუნიკაცია დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე (2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივნისი);

ასევე, შეემუშავებინა პირველადი გადაუდებელი დახმარების წესი (2023 წლის ივნისი - 2023 წლის დეკემბერი).
სავალდებულო იყო სკოლას ჰყოლოდა ექიმი სკოლაში შეჭრილი ცვლის პერიოდში (2023 წლის ივნისი - 2023 წლის დეკემბერი).
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან მიწერილობა, მტკიცებულებები, საიდანაც ირკვეოდა რომ სოფლ საქობოში მდებარე შენობის რეაბილიტაციას სააგენტო განიხილავდა მომავალი წლის სამოქმედო გეგმის ფორმირების ფარგლებში (2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივნისი).
რაც შეეხება მეოთხე სტანდარტს, ექსპერტმა ცირა ნიკოლეიშვილმა აღნიშნა, რომ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:
4.1.1.3 იდიკატორთან მიმართებით, სკოლამ უნდა უზრუნველყოს ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმება (2023 წლის სექტემბერი - 2023 წლის ოქტომბერი);
4.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით- სკოლას უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, და სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის“ წესი (2023 წლის ივლისი - 2023 წლის სექტემბერი);
ექსპერტმა ისაუბრა, რომ სკოლაში ვიზიტის დროს, ნამდვილად შეამჩნეოდა, გუნდურობა, პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა და სწრაფვა განვითარებისკენ.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა თუ როგორ წარმოედგინათ ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენელს, რომ ის ხარვეზები რაც დაფიქსირებული იყო შეფასებისას, გამოსწორდებოდა, თუ არა ერთ წელში და რა იყო განმსაზღვრელი იმისა, რომ მათ შეაფასეს სტანდარტი მეტწილ შესაბამისობად. საბჭოს წევრმა თამარ მამსიკაშვილმა კი კითხვის სახით მიმართა დაწესებულებას, თუ რამდენად თვლიან რომ მზად იყვნენ ავტორიზაციისთვის.
სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოავლეობის შემსრულებელმა, მანანა ბახტურიძემ, აღნიშნა, რომ სოფელ ვარდისუბანში მდებარე სკოლა იყო ახლად რეაბილიტირებული იყო და აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს, თუმცა რეაბილიტაციას საჭიროებდა სოფელ საქობოში მდებარე ოპტიმიზებული სკოლის შენობა, რომელთან დაკავშირებითაც მას ჰქონდა სიტყვიერი შეთანხმება ადგილობრივი ხელისუფლებასთან, რომ სკოლა რეაბილიტირდებოდა. სკოლის წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ არც ექსპერტთა ვიზიტის განმავლობაში და არც მას შემდეგ არ შეუწყვეტავთ მუშაობა და დოკუმენტების პროექტები თითქმის მზად ჰქონდათ.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მიმართა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ გაცემული რეკომენდაცია ახალი შინაგანაწესის რედაქციის შექმნასთან დაკავშირებით, თუმცა ის ფიქრობდა რომ ეს არ იყო ხარვეზი და დასძინა რომ სკოლების შინაგანაწესის ცვლილების ვერც პირად და ვერც სამართლებრივ საფუძველს ვერ ხედავდა.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მიმართა კითხვით, თუ რა ღონისძიებებს ატარებდა სკოლა ვებ გვერდთან დაკავშირებით და რა ეტაპზე იყო იგი და ასევე ჰკითხა საბოლოო იყო თუ არა ის შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რაც სტანდარტებათან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში ჰქონდათ წარმოდგენილი. სკოლის წარმომადგენელმა, მანანა ბახტურიძემ, ვებ გვერდთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ გაიარეს ტრენინგები ვებ გვერდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, ვებ გვერდის შექმნა კი კვლავ პროცესში იყო. კითხვის მეორე ნაწილზე დადებითი პასუხის მიღების შემდეგ საბჭოს წევრმა, აღნიშნა რომ პროექტში იყო ისეთი ხარვეზები, როგორიც იყო დაგეგმილი აქტივობები 2032 წლისთვის და ღონისძიებები მეტნაკლები ბუნდოვანებით იყო გაწერილი, შესაბამისად, დოკუმენტი საჭიროებდა გადახედვას.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, მიმართა ექსპერტებს კითხვით და სთხოვა აეხსნათ, რამ განაპირობა მეორე სტანდარტის სრულ შესაბამისად შეფასება. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ინგა ხავთასმა აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში მასწავლებლები

ამომწურავად პასუხობდნენ კითხვებს კომპლექსური დავალებების, თანამშრომლობითი კულტურის და კურიკულუმის ჩარჩოს შესახებ. ამასთან, ექსპერტები დეტალურად გაეცნენ სკოლის დოკუმენტაციას. ეს ყველაფერი საკმარისი იყო საგნობრივი ექსპერტისთვის, რომ დადებითად შეეფასებინა სტანდარტი. ლაფსუსებზე კი, რომელიც ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო, გაცემული იყო რეკომენდაცია და გამოსწორებულ იქნა სკოლის მიერ მოკლე დროში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ექსპერტს, ცირა ნიკოლაშვილს ჰკითხა, მოხდა თუ არა მისი მხრიდან კომპლექსური დავალებების ანალიზი. ექსპერტმა კი უპასუხა, რომ საგნობრივ ჭრილში მეორე სტრანდარტს სიღრმისეულად საგნობრივი ექსპერტები ამოწმებდნენ, თუცა ადგილზე მათ მიერ შესწავლილი იყო და შეაფასეს ის საკითხები, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან იყო დაკავშირებული და ნახეს, რომ მიმდინარეობდა აქტიური პროცესები, როგორიცაა კათედრებზე მუშაობა, განხორციელებული სამუშაოს ანალიზი, ერთობლივი სამუშაოები, ინტეგრირებული პროექტები და მოსწავლეთა შედეგებზე ორიენტირება, რასაც ადასტურებდა შესაბამისი მასალები და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლას (ს/კ:233137922) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N1). საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: ოთხივე სტანდარტი.

2. სსიპ - ქალაქბორჯომის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და მარიამ გარაშვილმა. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 ივლისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ბორჯომში, რუსთაველის ქ. N97-ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 835 მოსწავლე.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ოთხივე სტანდარტის მიხედვით შეისწავლეს სკოლის დოკუმენტაცია. ექსპერტის განმარტებით, სკოლას სრულად ჰქონდა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დეტალურად ჰქონდა გაწერილი, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება, შემდეგნაირად წარმოადგინა ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა:
პირველი სტანდარტის, სკოლის მისია, კომპონენტები, 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, შეფასდა სრულ შესაბამისად.
რაც შეეხებაა მესამე სტანდარტს- სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ხოლო თითოეული კომპონენტის შეფასება გადანაწილდა შემდეგნაირად:
3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება;
3.2. პერსონალის განვითარება-მეტწილად შეესაბამება;
3.3. პროცესის მართვა - მეტწილად შეესაბამება;
3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება;
3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა-მეტწილად შეესაბამება;
3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება;
3.7. ფინანსური რესურსები- მეტწილად შეესაბამება.

ექსპერტის განცხადებით, ასევე, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.
რაც შეეხება მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები სრულ შესაბამისობაში იყო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით, სკოლას მიეცა არა ერთი რჩევა, რაც, სკოლამ მიზნობრივად უნდა გამოიყენოს.
გარკვეულ ინდიკატორებთან მიმართებით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაციები:
სკოლას სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.06.2023წ.) უნდა მოეწესრიგებინა პერსონალთა პირადი საქმე, კერძოდ, განათევსებინა ცნობები ,,უფლებების ჩამორთმევის შესახებ, “ ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ (ინდიკატორი 3.1.2.1);
სკოლას უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომელშიც გამოჩნდებოდა ერთიან სისტემაში გააზრებული საკადრო პოლიტიკის კუთხით, რათა კანდიდატთა შერჩევის პოლიტიკამ და პროცედურებმა უნდა უზრუნველყოს პოზიციის

შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით (30.11.2023წ.) (ინდიკატორი 3.1.2.3);
ბიბლიოთეკარის პოზიციაზე უნდა დაასაქამებინა შესაბამისი კადრი (30.09.2023წ.)(ინდიკატორი 3.1.2.3);
სკოლას უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ერთიანი დოკუმენტი (25.12.2023) (ინდიკატორი 3.3.1.1)
ექიმის საშტატო ერთეულის დამატების მიზნით, ეწარმოებინა კომუნიკაცია შესაბამის უწყებასთან, რათა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ მოთხოვნები სამედიცინო პერსონალის რაოდენობასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით სკოლას ჰქონდა უფლება ჰყოლოდა 2 ექიმი;
მოეპოვებინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნა;
მოეპოვებინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ვიზიტის პერიოდში, სკოლას, ჰქონდა მიწერილობა N807589. 03.07.2023წ. შინაგან საქემათა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომლის თანახმადაც სკოლა ითხოვდა შენობა-ნაგებობის მოკვლევასა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
სკოლას შემუშავებული ჰქონდა და უნდა დაემტკიცებინა შესაბამის უწყებებთან, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ინდიკატორი-3.4.1.1)
სკოლას ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, სართულებს შორის გადასაადგილებლად ჰქონდა ლიფტი, რომელიც ვიზიტის დროს არ ფუნქციონირებდა. სკოლამ უნდა მოიპოვოს ლიფტის უსაფრთხოდ გამოყენების დამადასტურებელი დასკვნა შესაბამისი უფლებამოსილი უწყებისგან (27.07.2024წ) (ინდიკატორი- 3.5.1.3);
სკოლას, ვებ გვერდის დამზადების თაობაზე უნდა ეწარმოებინა კომუნიკაცია მართვის საინფორმაციო სისტემასთან. (30.06.2024);
უნდა გამოეყო პასუხისმგებელი პირი ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე (30.06.2024);
განეთავსებინა ვებ გვერდზე სტანდარით განსაზღვრული ინფორმაცია(30.06.2023) (ინდიკატორი 3.6.3.5)
სკოლა შეიმუშავებს და დაამტკიცებსს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესს, , სადაც გამოჩნდებოდა , თუ როგორ მოხდებოდა შემოსული ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისი რეაგირება და დამუშავებული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად (30.06.2024წ.).
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსებსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე. სკოლა განთავსებული იყო ორ სამსართულიან შენობაში, სკოლის ეზოში მოწყობილი იყო რეკრეაციული სივრცეები. კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე, რომელიც ეხებოდა მოსწავლეთა მხარდამჭერის ნაწილს და მასთან დაკავშირებით განხორციელებულ სხვადასხვა პროექტს:
,,ვარდისფერი ოქტომბერი“ რომელიც ეხებოდა მკერდის კიბოს სკრინინგს; ქალთა მიმართ ძალადობის კვირეულის ფარგლებში განხორციელებული პროექტი ,,ნარინჯისფერი ნოემბერი;“ სკოლა მოაწილეობდა პროექტში, რომელიც ეხებოდა ,,სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების განათლების ხელშეწყობას.“ ასევე, სკოლაში ფუნქციონირებდა მეწარმეობის კლუბი ,,Anciet Beauty-ანტიკური ხელოვნება,“ სადაც იწარმოებოდა ბიზნეს გეგმები, იქმნებოდა მინი კომპანიები, პროდუქტები, ხორციელდებოდა გამოფენა-გაყიდვები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

ცენტრის წარმომადგენელმა, მიმართა საბჭოს და განაცხადა, რომ სკოლამ ცენტრს მიმდინარე წლის 5 ივლისს მიმართა წერილით, რომლითაც იუწყებოდა, რომ თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჰქონდა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობად - 835 მოსწავლე. 5 ივლისის მონაცემებით სკოლაში ირიცხებოდა 900 მოსწავლე. მოსწავლეთა რიცხოვნების მატება გამოწვეული იყო პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეთა გაზრდით. შესაბამისად, დაწესებულება შუამდგომლობდა საბჭოს მოსწავლეთა ადგილების ზვრულ რაოდენობად განესაზღვრა 900 მოსწავლე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა ექსპერტებს, ჰქონდა, თუ არა სკოლას რესურსი მიეღო 900 მოსწავლე და შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურეობა გაეწია მათთვის. ესქპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა 900 მოსწავლისთვის განსაზღვრული რესურსები.
საბჭომ გაიზიარა აღნიშნული საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, წარმოედგინათ შეფასებები დაწესებულების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით.
საზოგადოერივი მეცნიერებების ექსპერტმა, თეონა შუბლაძემ, აღნიშნა რომ მასწავლებლები ინტრვიურების დროს უზიარებდნენ ექსპერტებს, თუ, როგორ მიმდინარეობდა კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, ურთიერთდასწრება, შესაბამისი უკუკავშირი და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება. იმედი გამოთქვა, რომ სკოლა იმ რჩევებსა და რეკომენდაციებს გაითვალისწინებდა, რაც ერთობლივად შეიმუშავეს. აღნიშნული საკითხი გაიზიარა, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა ელენე ბეთლემიშვილმა და დაამატა, რომ, მართლაც, სკოლის განსაკუთრებით ძლიერი მხარე იყო მაღალი თანამშრომლური კულტურა და მოსწავლეთა მხარდაჭერა და არაფორმალური განათლების კუთხით განხორციელებული სხვადასხვა პროექტი.
  სკოლის დირექტორმა, ხათუნა ხარაზიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საინტერესო და ნაყოფიერი შრომისთვის და აღნიშნა, რომ ყველა ის, რეკომენდაცია, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ იყო გაცემული, სკოლას სრულყოფილად ჰქონდა შესწავლილი და გათვალისწინებდნენ სამომავლო მიზნებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 900-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბორჯომის N3 საჯარო სკოლას (ს/კ:226157342) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს

უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი N2).
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

3. სსიპ - ქალაქთბილისის N177 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხისგანხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, თეონა ყაჭეიშვილმა. ქსპერტმა, განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ თბილისში, დავით ჯაბიძის ქ. N38 -ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1450 მოსწავლე.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის ინფრასტრუქტურასა და სკოლის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებაზე. მისი განმარტებით, სკოლის კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას. ექსპერტმა, განსაკუთრებით აღნიშნა სკოლაში არსებული ქორეოგრაფიული ანსაბლის ფუნქციონირება და ჩოგბურთის კორტები. ასევე, სკოლის ძლიერი მხარე იყო ტექნოლოგიების გამოყენება სხვადასხვა სასკოლო რესურსის შესაქმნელად. ასევე, სკოლის საუკეთესო პრატიკა იყო სხვადასხვა კლუბის არსებობა, ერთ-ერთი ასეთი იყო სამოქალაქო კლუბი ,,არჩევანი“, რომელიც ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, სადაც აქტიურად იყო ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობა.
ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა, რომ სკოლას სრულად ჰქონდა გაზიარებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული გარემოებები და არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დეტალურად ჰქონდა გაწერილი, თუ რა ვადებში შეძლებდნენ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრას, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის საბოლოო შეფასება, შემდეგნაირად წარმოადგინა ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა.

ექსპერტის განცხადებით, პირველი სტანდარტის, სკოლის მისია, კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები შეფასადა სრულ შესაბამისად, ხოლო კომპონენტი 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება შეფასდა მეტწილ შესაბამისად.
ექსპერტის განცხადებით, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. ასვე, არ ჰქონდა მიმდინარე სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. არგუმენტირებული პოზიციის წარდგენისას, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში სკოლა შეიმუშავებდა და დაამტკიცებდა შვიდწლიანი სტრატეგიულ განვითარების გეგმას (06.06.2023წ. -08.092023წ.) და მიმდინარე სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმას (06.06.2023წ. -15.09.2023წ.) რომელიც გამომდინარეობდა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.
რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს- სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა - შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისად.
ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშილმა, განაცხადა, კომპონენტი, 3.1. - პერსონალის მართვა - შეფასდა მეტწილ შესაბამისად. კერძოდ, სკოლის თანამშრომლებს, რომლებიც 2020 წლიდან იყვნენ დასაქმებული აღნიშნულ სკოლაში არ არ ჰქონდათ წარმოდგენილი ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და ,,უფლებების ჩამორთმევის შესახებ.“ სკოლას სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უნდა მოეწესრიგებინა პერსონალთა პირადი საქმე, კერძოდ, განათევსებინა აღნიშნული ცნობები მათ პირად საქმეში (10.06.2023წ-31.10.2023წ).
ექსპერტის განცხადებით, სკოლას ექიმის ნაცვლად, დასაქმებული ჰყავდა უმცროსი ექთანი, რომელიც არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებას №41/ნ/01- 23/ნ 2022 წლის 21 მარტის “საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს. ექსპერტმა, განმარტა რომ სკოლას ვიზიტის პერიოდში გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია კვალიფიციური სამედიცინო კადრის შესარჩევდ და სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვულ ვადებში, სკოლა შეარჩევდა ასეთ სამედიცინო კადრს (06.06.2023წ-15.09.2023წ.).
ექსპერტის განცხადებით, ასევე მეტწილ შესაბამისობად შეფასდა კომპონენტი 3.4.- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა შესრულებული ყველა ის მოთხოვნა რომელიც დაფიქსირებული იყო 2020 წლის 2 ივლისის №MIA 9 20 01 485257 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მიერ, სკოლის მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების საფუძველზე შედგენილ №30 მიწერილობაში. კერძოდ: სკოლას, ორსართულიანი შენობის მე-2 სართულის სპორტულ დარბაზს არ ჰქონდა მოწყობილი მეორე საევაკუაციო გასასვლელი; სკოლის შენობაში არ იყო დამონტაჟებული სახანძრო სიგნალიზაცია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაცი, ის მართვის სისტემები; სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობაზე ექსპერტული დასკვნა. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის უწყებებთან, ასევე, წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადები, რა დროშიც შეასრულებდა აღნიშნულ მოთხოვნებს (01.09.2023წ.-01.08.2024წ.)
ასევე, მეტწილ შესაბამისობად შეფასდა კომპონენტი, 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა. კერძოდ, დაწესებულების შესასვლელში დამონტაჟებული იყო პანდუსი შეზღდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, მაგრამ ის არ იყო უსაფრთხო ეტლით მოსარგებლეთა გადაადგილებისთვის, პანდუსს არა ჰქონდა მოაჯირები და საჭიროებდა შესაბამისად მოწყობას. სკოლამ, ამ საკითხთან მიმართებით, წარმოადგინა შესაბამისობის

უზრუნველოფის გეგმა სადაც განსაზღვრა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის შესრულების ვადები (01.08.2023წ. -01.10.2023წ.). ექსპერტმა, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლში, ადაპტირებული სველი წერტილები განთავსებული იყო მეორე სართულზე, რის გამოც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შეუძლებელი იყო სარგებლობა. სკოლა საჭიროებდა ლიფტის მონტაჟს.
ექსპეტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა რომ, ასევე მეტწილ შესაბამისობად შეფასდა კომპონენტი 3.6. - საინფორმაციო რესურსები. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა მოქმედი ვებ გვერდი და შესაბამისად ვერ ახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით; ასევე, არ ჰყავდა განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე, რომელიც განათავსებდა ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციას, ქართულ ენაზე. სკოლა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადებში, შეძლებდა რეკომენდაციის შესრულებას (01.08.2023-01.10.2023წ.).

ექსპერტის განცხადებით, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.
რაც შეეხებოდა მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი, სამივე საფეხურის, დაწყებითი, საბაზო და საშუალო, იყო სრულ შესაბამისობაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მორის დანდურაშვილი დაინტერესდა და მიმართა ექსპერტებს, ვიზიტის დროს, ხომ არ უნახავთ მოსწავლის პირად საქმეებში, საფეხურების ბოლოს შეფასებებისას, თუ ხდებოდა მოსწავლეების მიღწევების დაფიქსირება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა განაცხადა, სკოლას ჰქონდა მოწესრიგებული მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც აღნიშნული იყო კლასიდან კლასში გადასვლის, საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ანალიზი. რაც შეეხებოდა, მოსწავლეთა მიღწევებს ეს არ იყო დაფიქსირებული. ამ საკითხთან მიმართებით, სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, გელა ოდიშელიძემ, განაცხადა, რომ მსგავსი პრაქტიკა სკოლაში არ ყოფილა, მოსწავლეთა მიღწევები პირად საქმეში არ ფიქსირდებოდა, ეს მხოლოდ ფიქსირებული იყო სადამრიგებლო ჟურნალებში. საბჭოს წევრის მიერ, გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ სკოლას ეს პროცედურა განეხორციელებინა, რადგან ჰყავდა ბევრი წარმატებული მოსწავლე. დაწესებულების დირექტორმა, აღნიშნა, რომ რჩევას გაითალისწინებდა და სკოლა, სამომავლოდ, შეიტანდა ინფორმაციას პირად საქმეში, მოსწავლეთა მიღწევების შესახებ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რამდენად ქმედითი იყო სკოლაში სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლის წარმომადგენელმა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გელა ოდიშელიძემ, განაცხადა, რომ სკოლის სამეურვეო საბჭო არ გამოირჩეოდა აქტიურობით, ხშირად დირექტორის მითითებით და შემდეგ ერთობლივი ძალებით ხდებოდა ბევრი კარგი საქმის წამოწყება და რეგულირება. რაც შეეხებოდა პედაგოგიურ საბჭოს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ის ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სამწუხაროდ, მოსწავლეთა თვითმართველობის აქტიურობა, განსაკუთრებით შეჩერებული იყო პანდემიის დროს, მაგრამ, მიმდინარე წელს უკვე დაწყებული იყო გარკვეული პროექტების განხორციელება.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა და მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, რატომ არ მოხერხდა ამ დრომდე ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა და როგორ აპირებდა სკოლა ამ პრობლემის მოგვარებას. ამ საკითხთან დაკავშირებით,

სკოლის წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა სამუშაოები, კერძოდ, შემუშავებული იყო გეგმა-პროექტი ლიფტის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რომელიც შესათანხმებლად წარდგენილი ჰქონდათ შესაბამის უწყებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლას (ს/კ: 209472667) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1450 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 3.)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან;
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტ- მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

4. სსიპ - ქალაქბაღდათის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე. აცილება ითხოვა, ის ვერ მიიღებდა განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესდა კონფლიქტი. საბჭოს წევრის განცხადებით, ის სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში.
საბჭოს წევრებმა შუამდგომლობა ერთხმად დააკმაყოფილეს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა, ხათუნა ლოდიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 ივნისს. დაწესებულება მდებარეობდა, ქალაქ ბაღდათში, კახიანის ქ. N37 -ში. სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 750 მოსწავლე.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ ოთხივე სტანდარტის მიხედვით იყო შესწავლილი სკოლის დოკუმენტაცია.
ექსპერტის განცცხადებით, სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციის წარდგენისას წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები. შესაბამისა, ექსპერტთა ჯუფის მიერ შეფასებული ოთხივე სტანდარტი, და გაცემული რეკომენდაციები წარმოადგინა ექსპეტმა ხათუნა ლოდიამ.

პირველი სტანდარტი, სკოლის მისია, ორივე კომპონენტი 1.1- სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, 1.2- სკოლის დაგეგმვა და განვითარება-მეტწილად შეესაბამება.
სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხედვა და ღირებულებები, არ ჰქონდა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავდა ხედვის შემუშავების მექანიზმს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლა ჩართული იყო ევროსაბჭოს პროექტში „დემოკრატია იწყება სკოლაში“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შედგა სამუშაო შეხვედრა მშობლების, მოსწავლეების და მასწავლებლების ჩართულობით. შედეგად შემუშავდასკოლის ხედვის და ღირებულებების სამუშო ვერსია, რომელიც დამუშავების პროცესში იყო და საბოლოო ფორმულირებით წარმოდგენილი იქნებოდა 2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო სასკოლო გეგმაში. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დაგეგმვის ჯგუფის მიერ ხედვის შემუშავებას, რომელშიც გათვალისიწინებული იქნება სასკოლო საზოგადოების მოლოდინები სკოლის მიმართ. ხედვის განაცხადს სკოლა გამოქვეყნებდა საჯარო სივრცეში, მოხდებოდა სასკოლო საზოგადოებისთვის მისი გაზიარება. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები: სკოლას უნდა შეემუშავებინა ხედვა და ღირებულებები საბოლოო სახით. ასევე შეემუშავებინა და დაემტკიცებინა სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავდა მისიის რევიზიის, ხედვის შემუშავების და საზოგადოებისთვის გაზიარების მექანიზმს. სკოლას უნდა უზრუნველყო ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა(ვადა - 01.09.2023).

რაც შეეხება, 1.2 კომპონენტს- სკოლის დაგეგმვა და განვითარება, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, შეფასდა მეწტილი შესაბამისობით, კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლას აღნიშნული მეთოდოლოგიის, მხოლოდ პროქტი ჰქონდა წარმოდგენილი, რომელიც ითვალისწინებდა სტრატეგიული განვითარების გეგმის, და ამ გეგმის საფუძველზე ერთ წლიანი სამოქმედო

გეგმის შემუშავების მექანიზმს. ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილი ჰქონდა აქტივობები ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, სკოლა შეიმუშავებდა და დაამტკიცებდა სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას (დასრულების ვადა - 01.09.2023).
სკოლას არ ჰქონდა წარმოადგენილი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გაწერილი იყო აქტივობები ხარვეზის აღმოსაფხვრელად. შემუშავდება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (დასრულების ვადა - 29.12.2023).
რაც შეეხება მესამე სტანდარტს, მესამე სტანდარტი, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული დაინფრსტრუქტურული მხარდაჭერა
შესფასდა როგორ ნაწილობრივ შესაბამისი 3.6 კომპონენტის მეტძილად შესაბამისობის საფუძველზე.
ექსპერტთა განცხადებით, მესამე სტანდარტის კომპონენტი 3.1. პერსონალის მართვა - შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. სკოლას არ ჰქონდა სტრუქტურა წარმოდგენილი. პროექტის სახით წარმოადგინა სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების სამსახურეობრივი ინსრუქციები.
ასევე,მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისად, პერსონალთა პირად საქმეებში სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი ცნობები ნასამართლობის, ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის“ და ,,უფლების ჩამორთმევის შესახებ“. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები არ არის დამოწმებული ნოტარიულად, უმეტეს შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები;

კომპონენტი 3.3. პროცესის მართვა - მეტწილად შესაბამისობაშია. სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. ასევე, სკოლას არ ჰონდა დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი;
ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.4 კომპონენტთან მიმართებით. სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული შესაბამის უწყებებთან საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა . სკოლას ჰქონდა მიწერილობა შესაბამის უწყებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებისა და შეთანხმების თხოვნით. ასევე, სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ. ექსპერტის განმარტებით, ვიზიტის დროს, გაირკვა რომ სკოლის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სისტემა არ იყო გამართული, მის გასამართად სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ბაზრის კვლევის შედეგად, შეარჩეული იქნა ინდ.მეწარმე რომელსაც N6 ხელშეკრულების საფუძველზე უნდა შეესრულებინა სკოლის შენობისათვის სახანძრო უსაფრთხოების სისტემათა ინჟინრული პროექტი და შეემუშავებინა მისი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების, რომელიც შეესაბამისი იქნებოდა საქართველოში მოქმედ კანონებთან და წესებთან. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ, სკოლა წარმოადგენდა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას. სკოლას წარმოადგინილი ჰქონდა სამედიცინო დახმარების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დოკუმენტის პროექტი, რომელიც სკოლას უახლოეს მომავალში უნდა დაემტკიცებინა.
ხარვეზი იყო დაფიქსირებული 3.5 კომპონენტთან მიმართებით, სკოლა არ ოყო სრულყოფილად აღჭურვილი სასკოლო მერხებით. ვიზიტის დროს ყველა მოსწავლე იყო ზრუნველყოფილი მერხით, თუმცა რიგ კლასებში მერხი არ იყო ასაკის შესაბამასი. ერთ საკლასო ოთახში

განთავსებული იყო ორადგილიანი მერხები. სკოლას არ ჰქონდა პამდუსი. ასევე, პანდუსის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, სკოლას ჰქონდა მიწერილობამ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, საიდანაც მიირო დასტური რომ გათვალისწინებული იქნება აღნიშნული საკითხი მომავალი სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
ექსპერტმა, ხათუნა ლოდიამ, წარმოადგგინა მესამე სტანდარტის მიმართებით გაცემული რეკომენდაციები:
სკოლას, თანამშრომლეთა პირად საქმეებში უნდა განეთავსებია კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია (ვადა: 15.09.2023).
სკლოას უნდა შეემუშავებინა და დაემტკიცებინა სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (ვადა: 01.09.2023);
სკოლას უნდა შეემუშვებინა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (ვადა: 30.10.2023);
სკოლას უნდა უზრუნველყო შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა (ვადა: 30.10.2023);
სკოლას უნდა აეყვანა ექთანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანების შესაბამისად. (ვადა: 29.12.2023; სკოლას უნდა წარმოედგინა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. (ვადა: 29.12.2023);
სკოლა სრულყოფილად უნდა აღჭურვილიყო სასკოლო მერხებით. (ვადა 15.09.2023);
სკოლამ უნდა უზრუნველყოს პანდუსის მოწყობა
  სკოლას უნდა შეექმნა ვებ გვერდი და მისი საშუალებუთ განეხორციელებინა საზოგადოების ინფორმირება და მასზე განეთავსებინა სტანდარტით განსაზღრული ინფორმაცია (ვადა: 30.10.2023)
ბოლოს, ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მატერიალუ რესურსა და ინფრასტრუქტურის ნაწილზე. მისი განმარტებით, სკოლა ახალი რეაბილიტირებული იყო პროექტ მილენიუმის ფარგლებში. კეთილმოწყობილი, სასკოლო ინფრასტრუქტურა ხელს უწყობდა მოსწავლის საუკეთესო ინტერესების და შესაძლებელის შესაბამისად, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, სკოლის მერხებთან მიმართებით, სკოლა მოასწრებდა, თუ არა სრულყოფილად აღჭურვას მერხებით სასწავლი წლის დაწყებამდე. სკოლის წარმომადგენელმა, სკოლის დირექტორის მოაველობის შემსრულებელმა, ლალი აბჟანდაძემ, განაცხადა რომ ჰქონდათ თანხმობა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან, სკოლა სასწავლი წლის დაწყებამდე შეძლებდა მერხებით აღჭურვას.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბაღდათის საჯარო სკოლის N2 ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბაღდათის N2 საჯარო სკოლას (ს/კ:225062927) წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 4.)
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის აგვისტოდან
- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: მესამე სტანდარტის 3.1, 3.3. 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

5. სსიპ - ქალაქ ქუთაისი N 36 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე. აცილება ითხოვა, ის ვერ მიიღებდა განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან აღნიშნულ სკოლასთან ჰქონდა ინტერესდა კონფლიქტი. საბჭოს წევრის განცხადებით, ის სკოლასთან თანამშრომლობდა ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში.
საბჭოს წევრებმა შუამდგომლობა ერთხმად დააკმაყოფილეს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მაკა ჭიაბერაშვილმა. მან განაცხადა რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისი N 36 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 ივნისს.დაწესებულება მდებარეობდა ქ. ქუთაისში რ.თაბუკაშვილის ქ. N175-ში. დაწესებულება სკოლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული.სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1500 მოსწავლე.
ექსპერტმა, მაკა ჭიაბრიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სკოლაში თვალშისაცემია თანამშრომლების მიკუთვნებულობის განცდა საკუთარი სკოლისადმი, მაღალი კომპეტენცია და სიახლეებისადმი ღიაობა.

რაც შეეხება სტანდარტს, პირველი სტანდარტის ორივე კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია
3.1. პერსონალის მართვა - მეტწილად შეესაბამება,
3.2. პერსონალის განვითარება- შეესაბამება
3.3. პროცესის მართვა - შეესაბამება
3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება-მეტწილად შეესაბამება
3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა- შეესაბამება
3.6. საინფორმაციო რესურსები-მეტწილად შეესაბამება
3.7.ფინანსური რესურსები-შეესაბამება
ექსპერტის განცხადებით, სრულ შესაბამისობაში იყო მეოთხე სტანდარტის, მოსწავლეთა მხარდაჭერა, ორივე კომპონენტი, 4.1-მოსწავლეთა უფლებების დაცვა და 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები.

რაც შეეხება მეორე სტანდარტს, სასკოლო კურიკულუმი
2.1-კურიკულუმის შემუშავება -შეესაბამება;
2.1. კურიკულუმის განხორციელება - მეტწილად შეესაბამება;
2.3; კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება-შეესაბამება;
2.4-კურიკულუმის გდასინჯვა და რევიზია -შეესაბამება;

ექსპერტმა, მაკა ჭიაბრიშვილმა ასევე გააჟღერა რეკომენდაციები, რომელიც დასკვნაშია დაფიქსირებული:

სკოლის მიეცა რეკომენდაცია,მისია და ხედვა გაემიჯნა ერთმანეთისგან, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს დაწესებულების რეალისტური, დროში გაწერილი, გაზომვადი ხედვა. (2023 წლის 4 სექტემბრამდე);
სკოლას უნდა შეექმნა შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა (2023 წლის 8 სექტემბრამდე);
სკოლას უნდა განეთავსებინაცნობები პერსონალთა პირად საქმეში, საქართველოს კანონის „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად უფლების ჩამორთმევის შესახებ“(2023 წლის ნოემბრამდე);
სკოლას უნდა წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის“ მე-5 მუხლის შესაბამისად შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა ექიმის კაბინეტში შირმის დადგმას. სკოლას უნდა წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.(2023 წლის დეკემბრამდე);
სკოლას უნდა ეწარმოებინა კომუნიკაცია ვებ გვერდის შექმნის მიზნით შესაბამის უწყებასთან, გამოეყოთ ვებ გვერდის ადმინისტირებაზე პასუხისმგებელი პირი, განათავსებინა ვებ გვერდზე სტანდარტის შესაბამისი დოკუმენტაცია.(2023 წლის ნოემბრამდე);
სკოლას უნდა შეემუშავებინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის აღმწერი დოკუმენტი.(2023 წლის ოქტომბრამდ

ექსპერტმა, მაკა ჭიაბერაშვილმა, წარმოადგინა ის ფოტო-მასალა, რაც შეაგროვეს ვიზიტის დროს და აღწერა რომ სკოლას გააჩნია სტანდარტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა. მათ შორის არის ლიპტი, სასკოლო ბიბლიოთეკა და რესურსებით აღჭურვილი საკლასო ოთახები.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავჯდომარემ, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა, რატომ ჰქონდათ მითითებული უფლების ჩამორთმევის ცნობების შესახებ ნოემბერი, ვინაიდან ამ დოკუმენტს სჭირდება 3 სამუშაო დღე. სკოლის წარმომადგენელმა, კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგმა , ნატალია თურქაძემ, განაცხადა, რომ ეს იყო ე.წ. თადარიგის დაჭერა მათი მხრიდან და მასწავლებელთა უმეტესობას უკვე წარდგენილი აქვს ცნობები.

საბჭოს წევრმა , მორის დანდურიშვილმა სკოლას მიმართა კითხვით. მოახდინეს თუ არა წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის ანალიზი, რომელიც 2023 წლამდე იყო შემუშავებული და შეასრულეს თუ არა მთიანად დაგეგმილი აქტივობები.

დირექტორის მოადგილემ, ია კაშიამ განაცხადა რომ ძირითადად ყველა გეგმა შესრულებული ჰქონდათ , თუმცა იყო საკითხები რომელიც გადმოიტანეს შვიდწლიანი სტრატეგიული სამოქმედო გეგმაში, ასეთი შემთხვევების მაგალითი იყო უცხო ენების მოთხოვნის გაზრდა სკოლაში, რომელიც წინა წლებში ვერ მოხერდა და ამ წლიდან დაიწყებდნენ განხორციელებას, მაგალითად დაამატებდნენ გერმალუნი ენას.

საბჭოს წევრმა მორის დანდურაშვილმა , სკოლის წარმომადგენელს კიდევ ერთი კითხვით მიმართა. მან აღნიშნა რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტები - თანხმობები პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, რომელიც მიღებული ჰქონდა სკოლას 2022 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან. საინტერესო იყო ის თუ რამ განაპირობა ცენტრიდან თანხმობების გამოთხოვა.

დირექტორის მოადგილემ, ლელა გრძელიშვილმა განაცხადა, რომ მასწავლებლებს სტატუსის ამაღლების მიზნით, დასჭირდათ სხვადასხვა მონაცემის წარდგენა, რის გამოც მათ გამოითხოვეს თანხმობები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლის წარმომადგენლებს სხთოვა აეხსნათ თუ რა მექანიზმები გააჩნიათ პროფესიული განვითარების მხარდაჭერისთვის. რაზეც დირექტორის მოადგილემ, ლელა გრძელიშვილმა უპასუხა, რომ მხარდაჭერის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი კათედრები, სკოლაში მაღალ დონეზე იკვეთებოდა გუნდურობა, თანამშრომლობა,კრიტიკული მეგორბის ინსტიტუტის დანერგვა და ინოვაციური მეთოდების გათვალისწინება . მან, ასევე, აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად იწვევდნენ ტრენერს, რათა დახმარებოდნენ მასწავლებლებს.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი, მუშაობის დროს სად და როგორ გამოიკვეთა მასწავლებელთა მხარდაჭერა სკოლის მხრიდან.

უცხოური ენების საგონრივმა ექსპერტმა, ნათია ლომთათიძემ აღწერა ინფორმაცია, რაც მან მიიღო ინტერვიუებიდან. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავებისას ისინი ერთად იკრიბებოდნენ და უზიარებდნენ საკუთარ აზრს და გამოცდილებას ერთმანეთს. სკოლამ ასევე გააგზავნა ინტერგრირებული გაკვეთილების გეგმები თანდარტული ფოტოსურათებით. ექსპერტმა ასევე ყურადღება გაამახვილა ბლოგზე რომელშიც არის აქტიოვობები ასახული.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა უცხოური ენების საგონრივ ექსპერტს, ნათია ლომთათიძეს და სთხოვა აეხსნა თუ როგორ ხდებოდა სკოლაში მოსწვალეთა მხარდაჭერა, რამდენად არის გაკვეთილები მოსწავლეზე ორიენტირებული და ითვალისწინებენ თუ არა მასწავლებელები მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.

უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა დასძინა რომ მასწავლებლები გასაუბრებების დროს ხშირად ახსენებდნენ მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებას, ასევე მნიშვნელოვანი იყო წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგემა და ადაპტირებული კომპლექსური დავალება, სადაც დეტალურად იყო აღწერილი მოსწავლის შესაძლებლობები, საჭიროებები და ინტერესები.

საზოგადოებრივი მეცნიერების საგნობრივმა ექსპერტმა, ნიკა უტალიშვილმა დაამატა, რომ შეფასების პროცესში გამოიკვეთა სკოლის აქტიური ჩართულობა მესამე თაობის ეროვნულ

სასწავლო გეგმაში , რასაც ადასტურებდა წინა წლის გეგმები, კომპლექსური დავალებები, გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, შეფასების რუბრიკები და შემოქმედებითი ნამუშავრები, როგორიცაა კედლის გაზეთები, ბუკლეტები და სხვა. ის რეკომედაცია კი, რაც ექსპერტებმა მეორე სტანდარტში დაფიქსირებულ ხარვეზზე გასცეს, იყო ის რომ პროცესი, რომელსაც სკოლა ახორციელებდა მთლიანად, მიუხედავად იმისა ეს ეხებოდა თუ არა კომპლექსურ დავალებებს,მორგებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპეპზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისი N 36 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლას (ს/კ:212706936) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები (დანართი 5). საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2024 წლის სექტემბრიდან;

- მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი;
- მონიტორინგის ფარგლები: პირველი სტანდარტ- 1.1. და 1.2 კომპონენტებ და მესამე სტანდარტის 3.1, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა